საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოსა და შესაბამისი აქტივობების მიხედვით დასაგროვებელი ქულების ოდენობები

დამტკიცებულია

რექტორის 2020 წლის 24 ივლისის №421 ბრძანებით

თბილისი
2020

მუხლი 1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაო

1.1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს (შემდგომში, ტექსტის მიხედვით - სეუ) აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაო მოიცავს სასწავლო დატვირთვას, კვლევით საქმიანობასა და სხვა სახის აქტივობებს (აკადემიური პირის კვალიფიკაციისა და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც შეიძლება დადასტურდეს ფაკულტეტის დეკანის მიერ);

1.2. სეუ-ს პროფესორი, ასოცირებულ პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოს ფარგლებში, ვალდებულია დააგროვოს **100 ქულა**;

1.3. მოწვეული აკადემიური პერსონალის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ქულობრივი შეფასება

2.1. სასწავლო დატვირთვის ფარგლებში დასაგროვებელ ქულათა მინიმალური ოდენობა - **50 ქულა**;

2.2. კვლევითი საქმიანობის ფარგლებში დასაგროვებელ ქულათა მინიმალური ოდენობა - **30 ქულა** პროფესორისთვის, **20 ქულა** ასოცირებული პროფესორისთვის და **10 ქულა;**

2.3. სხვა აქტივობების (მ.შ. სოციალური ზეგავლენის, საორგანიზაციო) ფარგლებში დასაგროვებელი ქულების მაქსიმალური ოდენობა - **20 ქულა**.

მუხლი 3. აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები და მათი ქულობრივი შეფასება

3.1. აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვა (კვირეული) შეადგენს არანაკლებ:

ა) პროფესორისათვის - **6 სთ**;

ბ) ასოცირებული პროფესორისათვის - **8 სთ**;

გ) ასისტენტ-პროფესორისათვის - **10 სთ**;

3.2. ყოველი დამატებითი საკონტაქტო საათის ჩატარებისათვის აკადემიური პირი მიიღებს დამატებით ანაზღაურებას საათობრივი ანაზღაურების წესით, სეუ-ში დადგენილი წესის შესაბამისად;

3.3. აკადემიური პირის ყოველკვირეული მაქსიმალური დატვირთვა შეადგენს - **24 სთ**;

3.4. გარდა სააუდიტორიო მუშაობისა, აკადემიურმა პირმა ქულები შეიძლება დააგროვოს შემდეგი აქტივობების მიხედვით:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა - **10 ქულა**;

ბ) ნაშრომის ხელმძღვანელობა: საბაკალავრო ნაშრომი - **2 ქულა**; სამაგისტრო ნაშრომი - **3 ქულა**. სასწავლო წლის განმავლობაში ერთ აკადემიურ პირს შეუძლია უხელმძღვანელოს არაუმეტეს **10 საბაკალავრო და 5 სამაგისტრო ნაშრომს**;

გ) ნაშრომის რეცენზირება: საბაკალავრო ნაშრომი - **1 ქულა**; სამაგისტრო ნაშრომი - **2 ქულა**;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის: მომზადება - **8 ქულა**; განახლება - **4 ქულა** (საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებასა და განახლებას ადასტურებს ფაკულტეტის დეკანი);

ე) სასწავლო კურსის: მომზადება - **3 ქულა**; განახლება - **1 ქულა** (სასწავლო კურსის მომზადებასა და განახლებას ადასტურებს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი);

ვ) საგრანტო პროექტის (დაფინანსებული): ხელმძღვანელობა - **5 ქულა**; მონაწილეობა - **3 ქულა**;

ზ) სტუდენტთა კონსულტირება სასწავლო კურსის ფარგლებში - ყოველ აკადემიურ ჯგუფზე **2 ქულა**;

თ) უწყვეტი განათლების ცენტრის ფარგლებში ტრენინგ-კურსის მომზადება - **2 ქულა**;

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები და მათი ქულობრივი შეფასება

4.1. პუბლიკაცია

ა) უცხოეთში გამოცემული, (Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია, რომლებსაც აქვთ ISSN ან ISBN კოდი - **40 ქულა**;

ბ) ქართულენოვანი, რეცენზირებული (Peer-reviewed) მონოგრაფია - **30 ქულა**;

გ) საქართველოში გამოცემული მონოგრაფია, რომლებსაც აქვთ ISSN ან ISBNკოდი - **25 ქულა**;

სტატია იმპაქტ-ფაქტორიან (Clarivate Analitics (ყოფილი Thomson Reuters Web of Science), ან ციტირების ქულის მქონე (Scopus) უცხოურ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში - **40 ქულა**;

დ) სტატია საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალში , რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული Scopus, Ulrich's Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue - **25 ქულა;**

ე) საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/ პატენტი - **40 ქულა**;

ვ) ეროვნულ საპატენტო ორგანიზაციებში რეგისტრირებული გამოგონება/ პატენტი - **35ქულა**;

ზ) სტატია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ გამოცემულ სამეცნიერო ჟურნალში, და სხვა ადგილობრივ რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში (სეუს მიერ დადგნილი, სამეცნიერო ჟურნალების ნუსხის მიხედვით) - **10 ქულა**;

თ) საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს სახელით, გამოსული დარგობრივი პუბლიკაცია/კვლევის შედეგები/პრაქტიკის მიმოხილვა და სხვა (ISSN ან ISBN კოდით) - **20 ქულა**;

ი) სტატია საერთაშორისო(Peer-reviewed) სტატიათა კრებულში - **15 ქულა**;

კ) სტატია ადგილობრივ, სტატიათა (Peer-reviewed) კრებულში - **10 ქულა**;

ლ) სტატია საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებულში - **15 ქულა**;

მ) სტატია ადგილობრივი კონფერენციის მოხსენაბათა კრებულში - **10 ქულა**;

ნ) საერთაშორისო კონფერენციის მასალების სამეცნიერო რედაქტირება (ედიტორობა) - **5 ქულა**;

ო) ადგილობრივი კონფერენციის მასალების სამეცნიერო რედაქტირება (ედიტორობა) - **2 ქულა**;

პ) საერთაშორისო ჟურნალში რეფერირებადი სტატიისათვის რეცენზენტობა, peer-review გაკეთება - **2 ქულა**;

ჟ) საქართველოში გამოქვეყნებული სამეცნიერო კრებულის სამეცნიერო რედაქტირება/ედიტორობა - **10 ქულა**;

რ) უცხოეთში გამოქვეყნებული სამეცნიერო კრებულის სამეცნიერო რედაქტირება რედაქტირება/ედიტორობა - **15 ქულა**.

4.2. გრანტი/შემოქმედებითი პროექტი

ა) კვლევითი გრანტის/შემოქმედებითი პროექტის ხელმძღვანელობა ეროვნულ დონეზე - **10 ქულა**;

ბ) კვლევითი გრანტის/შემოქმედებითი პროექტის ხელმძღვანელობა საერთაშორისო დონეზე - **10 ქულა**;

გ) კვლევით გრანტში/შემოქმედებით პროექტში ჩართულობა ეროვნული დონეზე - **5 ქულა**;

დ) კვლევით გრანტში/შემოქმედებით პროექტში ჩართულობა საერთაშორისო დონეზე - **5 ქულა**.

4.3. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა

ა) საერთაშორისო სამეცნიერო სემინარზე/სიმპოზიუმზე/კონფერენციაზე/ კონგრესზე მოხსენების გაკეთება - **4 ქულა**;

ბ) ადგილობრივ სამეცნიერო სემინარზე/სიმპოზიუმზე/კონფერენციაზე/ კონგრესზე მოხსენების გაკეთება - **3 ქულა**.

4.4. სამეცნიერო ცოდნის გაზიარება

ა) საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის რედ.კოლეგიის წევრობა - **5 ქულა**;

ბ) ადგილობრივი რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა - 3 **ქულა**;

გ) საუნივერსიტეტო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტის, ცენტრის) ხელმძღვანელობა - **10 ქულა**;

4.5. საქმიანობა შესაძლო კვლვითი ელემენტებით

ა) სახელმძღვანელო/დამხმარე სახელმძვანელო/მეთოდური სახელმძვანელო - **15 ქულა**;

ბ) სამეცნიერო ნაშრომის თარგმანი, ან თარგმანის სამეცნიერო რედაქტორობა - **5 ქულა**;

გ) საექსპერტო საქმიანობა - **5 ქულა**;

მუხლი 5. სხვა საქმიანობის (მ.შ. სოციალური ზეგავლენის, საორგანიზაციო) ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები და მათი ქულობრივი შეფასება

5.1. სეუ-ს წარმომადგენლობითი ორგანოების წევრობა:

ა) აკადემიური საბჭოს - **5 ქულა**;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს - **3 ქულა**;

5.2. საუნივერსიტეტო კვლევითი ერთეულის (ცენტრის/ინსტიტუტის) ხელმძღვანელობა - **8 ქულა**;

5.3. სეუ-ს ადმინისტრაციის მხარდაჭერა აკადემიური პროგრამების განხორციელებასთან, ცნობადობის ამაღლებასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებში - **3 ქულა**;

5.4. სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების აქტივობებში მონაწილეობა (1 საჩვენებელი ლექციის შეფასება) - **2 ქულა**;

5.5. საზღვარგარეთ სამეცნიერო კონფერენციების სამეცნიერო/საორგანიზაციო საბჭოს წევრობა - **5 ქულა**;

5.6. საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა - **5 ქულა**;

5.7. რეფერირებადი ჟურნალის რედკოლეგიის წევრობა - **3 ქულა**;

5.8. კონსულტანტის ან ექსპერტის სტატუსი:

ა) საერთაშორისო ორგანიზაციებში - **3 ქულა**;

ბ) ადგილობრივ ორგანიზაციებში - **2 ქულა**;

5.9. საჯარო ლექციის წაკითხვა - **3 ქულა**;

5.10. საჯარო დისკუსიების ორგანიზება - **2 ქულა**;

5.11. წიგნის/მონოგრაფიის/სახელმძღვანელოს პრეზენტაციის ორგანიზება - **2 ქულა**;

5.12. მასტერ-კლასის/ვორკშოპის ჩატარება - **3 ქულა**;

5.13. არასამეცნიერო/პოპულარულ ჟურნალებში/გამოცემებში სტატიის გამოქვეყნება - **2 ქულა**;

5.14. სამეცნიერო/პროფესიული საზოგადოების ხელმძღვანელობა - **4 ქულა**;

5.15. საერთაშორისო ასოციაციების წევრობა - **2 ქულა**;

5.16. სეუ-ს იმიჯის ამაღლებისა და პოპულარიზაციის (მასმედიის საშუალებები, საჯარო გამოსვლები და სხვ.) ღონისძიებების ორგანიზება - **4 ქულა**;

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. სასწავლო წლის განმავლობაში, აკადემიური პირის მიერ, 100 ქულაზე მეტის დაგროვების შემთხვევაში:

ა) მეტი ქულები შეიძლება გადატანილ იქნას და ჩაითვალოს მომდევნო აკადემიური წლის აქტივობებში, დეკანის წარდგინებით და რექტორის გადაწყვეტილებით;

ბ) სეუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ შეიძლება იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება აკადემიური პირის მატერიალური ან არამატერიალური წახალისების ფორმისა და ოდენობის შესახებ;

6.2. სასწავლო წლის განმავლობაში, აკადემიური პირის მიერ, 100 ქულაზე ნაკლების დაგროვების შემთხვევაში:

ა) აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა გააუმჯობესოს მიღებული შედეგი, რისთვისაც, რექტორის გადაწყვეტილებით, განესაზღვრება გონივრული ვადა;

ბ) უარყოფითი შედეგის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულების პირობების გადახედვის (მ.შ. შეწყვეტის) საკითხი;

6.3. სეუ იტოვებს უფლებას, აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებელი სამუშაოს ქულობრივი შედეგები გაითვალისწინოს აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის დროს.